

- ადმინისტრაციულმა ორგანოებმა არ გაუფორმონ კონტრაქტები მედიებს, რომლებიც სიძულვილის ენას აღვივებენ და რუსული პროპაგანდის პლატფორმების ტირაჟირებას ახდენენ.
- მაუწყებლებმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა დაიცვან კანონმდებლობის ის მოთხოვნა, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გადაცემების დასპონსორებას, გადაცემებისა და სიუჟეტების დაფინანსებას კრძალავს. მარეგულირებელმა კომისიამ დროული რეაგირება მოახდინოს ასეთ გამოვლილებებზე.
- **WAN-IFRA:** ნებისმიერი დაფინანსებული შინაარსი მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს სარედაქციო მასალისგან, რაც მომხმარებლისათვის ცალსახად აღქმადი უნდა იყოს.
- იმისთვის, რომ წინასაარჩევნო პერიოდში გამოირიცხოს მედიის საინფორმაციო მომსახურების პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენება, რაც კანონმდებლობით აკრძალულია, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მარეგულირებელმა კომისიამ მონიტორინგი გაუწიონ ამ პროცესს და რეაგირების მიზნით ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საარჩევნო უწყებათაშორისი კომისიის ინფორმირება მოახდინონ.

## რბილი ცენზურა – სამართაშორისო პრაქტიკა

სამოქალაქო კონტროლის პირობებში ხელისუფლება უფრო ნაკლებად ახერხებს აშკარა და ბრუტალური საშუალებებით მედიაზე გავლენის მოპოვებას. სწორედ ამიტომ ამ მიზნის მიღწევის გზები სულ უფრო დახვეწილი და მრავალფეროვანი გახდა.

მსოფლიოს გაზეთებისა და ახალი ამბების გამომცემელთა ასოციაცია – WAN-IFRA-ის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას სახელმწიფოს მხრიდან მედიის “რბილ ცენზურაზე” დაკვირვება წარმოადგენს.

“რბილი ცენზურა” ან “არაპირდაპირი სახელმწიფო ცენზურა” გულისხმობს საჯარო ხელისუფლების იმგვარ ქცევას, რომელიც მიმართულია მედიის გაკონტროლებისაკენ არა პირდაპირი და ძალადობრივი მეთოდებით, არამედ ირიბი ზეწოლის მექანიზმებით. რბილი ცენზურა გამოიყენება ხელისუფლების საქმიანობის მისი წარმომადგენლების პოზიტიურად გაშუქების წასახალისებლად და იმ მედიების წინააღმდეგ, რომელთაც კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკა აქვთ. ეს პრაქტიკა გულისხმობს სახელმწიფოს წარმომადგენლებთან, ორგანოებთან, მათ საქმიანობასთან და გატარებულ პოლიტიკასთან დაკავშირებული ახალი ამბების შინაარსზე გავლენის მოხდენას მედიაში სახელმწიფოს ხარჯების გადანაწილებით მანიპულირების გზით. ეს შეიძლება იყოს რეკლამის განთავსება, სუბსიდირება, მედიასთან დაკავშირებული სხვადასხვა სერვისების შესყიდვა; ნებართვების, ლიცენზიების შერჩევითი გაცემა; რეგულაციების შერჩევითად გავრცელება; კონკრეტული მედიასაშუალებების სიცოცხლისუნარიანობის ხელოვნურად შენარჩუნება; კონკრეტული მედიასაშუალებების შინაარსის წახალისება ან დასჯა.

ორგანიზაცია რბილი ცენზურის 5 ტიპს გამოჰყოფს:

- სახელმწიფოს მიერ რეკლამის განთავსება,
- მედიის სუბსიდირება,

- შესყიდული ახალი ამბები,
- ქრთამი და მოსყიდვა,
- ზეწოლის სხვა ადმინისტრაციული საშუალებები.

სახელმწიფოს მიერ რეკლამის განთავსება გულისხმობს საბიუჯეტო სახსრების გამოყენებით, სახელმწიფო ტენდერების გამოცხადებასა და მედიაში შესყიდვების განხორციელებას სახელმწიფო პოლიტიკის ან სერვისის პოპულარიზაციისათვის, საინფორმაციო კამპანიის წარმოებისათვის. სახელმწიფო რეკლამირების ბოროტად გამოყენება შესაძლებელია, როდესაც რეკლამირება ემსახურება კონკრეტული თანამდებობის პირის ან პარტიის პოპულარიზაციას ან მისი განთავსება გამოყენებულია მედიის სარედაქციო შინაარსზე გავლენის მოსახდენად.

**მედიის სუბსიდირება** გულისხმობს კონკრეტული მედია საშუალების საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსებას. „ფარული სუბსიდირება“ არის სუბსიდირების ფორმა, რომელიც ფორმალურად არ წარმოადგენს სუბსიდიას, თუმცა შინაარსით იმავე მიზანს ემსახურება.

**შესყიდული ახალი ამბები.** გარკვეული ინფორმაციის გავრცელება არის შესყიდვის საგანი, თუმცა ის ვრცელდება, როგორც ახალი ამბავი, რათა შეინიღბოს ინფორმაციის მიკერძოებულად გავრცელება.

**ქრთამი და მოსყიდვა.** ჟურნალისტებს, რედაქტორებს სთავაზობენ გარკვეულ სარგებელს თავიანთი სარედაქციო პოლიტიკის ან გაშუქების შერბილების ან შეცვლის მიზნით.

**ზეწოლის სხვა ადმინისტრაციული საშუალებები.** ლიცენზიების, საგადასახადო მექანიზმების და სხვა ადმინისტრაციული ინსტრუმენტების შერჩევითად გამოყენება კონკრეტული მედია საშუალებისათვის სირთულეების შესაქმნელად, რაც კრიტიკული ხმის ჩახშობას ემსახურება.

**„რბილი ცენზურა“ მტკიცებულად მოქმედებს მედიაზე.** რესურსებისა და რეკლამის მიკერძოებული, გაუმჭვირვალე გადანაწილებით და სხვა ფინანსური ინსტრუმენტებით ახალი ამბების გაშუქებაზე გავლენის მოხდენამ შეიძლება გამოიწვიოს თვითცენზურა, რომელიც შეზღუდავს ინფორმაციის გავრცელებას, ხოლო მედია, ერთი შეხედვით, იქნება მოჩვენებითად თავისუფალი.

რბილი ცენზურის მექანიზმების გამოყენება მზარდია და მედიის კონტროლის საკმაოდ ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს. ეს მექანიზმები არის ნაკლებადხილული და დრამატული, რამდენადაც პირდაპირი ცენზურა, რომელსაც ხშირ შემთხვევაში საკმაოდ უხეში ფორმები აქვს, სწრაფად იქცევა პრესის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების დამცველი ჯგუფების ყურადღებას. რბილი ცენზურა კიდევ უფრო საშიში და შემაშფოთებელია, რადგან საზოგადოებას, რომელსაც არ მიეწოდება კონკრეტული ინფორმაცია, საერთოდ წარმოადგენა არ აქვს ამ ინფორმაციის არსებობის შესახებ.

შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია იმ ორგანიზაციების დაინტერესება, რომელთაც ამ ტიპის გავლენების კვლევისა და გამოაშკარავების უნარი და კვალიფიკაცია აქვს. მნიშვნელოვანია რბილი ცენზურის გავლენის ძიება და მისი აღმოფხვრის მცდელობა.

„რბილ ცენზურაზე“ საუბრისას სულ უფრო აქტუალური ხდება ონლაინ მედია, რადგან ონლაინ მედიის როლი თანამედროვე ტექნოლოგიურად განვითარებულ საზოგადოებაში მზარდია. ონლაინ მედიის გაფართოებით ქვეყნების უმეტესობის მედია სტრუქტურა მთლიანად იცვლება. მაგალითად, მაკედონიაში ინტერნეტისა და სოციალური მედიის გაფართოვებამ წარმოშვა უამრავი ონლაინ პორტალი, რომელიც ამ სახელმწიფოს სამართლებრივი რეალობისათვის ახალია და ხშირ შემთხვევაში მედია სამართლის რეგულირების სფეროში არ ექცევა.

ონლაინ მედიის ფუნქციონირება გაცილებით ნაკლებ ფინანსურ და ადმინისტრაციულ სირთულესთან არის დაკავშირებული, ვიდრე სატელევიზიო ან რადიო მაუწყებლობის, რასაც თან ახლავს, როგორც დადებითი, ასევე ნეგატიური ეფექტი. WAN-IFRA-ს ანგარიშის<sup>2</sup> მიხედვით, რომელიც შეეხება რბილ ცენზურას მაკედონიაში, ერთი მხრივ ონლაინ პორტალები თავშესაფრად იქცა იქამდე დახურული ტელევიზიებიდან წასული თუ კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტებისათვის, ხოლო მეორე მხრივ პრო-სახელისუფლებო ჟურნალისტები აფუძნებენ ონლაინ პორტალებს, რომლებიც მხოლოდ ხელისუფლების პოზიციების გახმევას ემსახურება. ზოგიერთი ამგვარი პორტალი და სოციალური ქსელი ინფორმაციას ავრცელებს, რომელიც უგულვებელყოფილია უფრო მასობრივ მედიაში ან სხვა გამოცემების მიერ. ყოველდღიურად ათასობით ახალი ამბავი ვრცელდება, თუმცა ონლაინ მედიის სიჭრელის გამო ამ ამბების სანდოობა ხშირ შემთხვევაში ეჭვქვეშაა.

სახელმწიფოს მიერ ონლაინ საინფორმაციო სააგენტოების მომსახურებით სარგებლობა საერთაშორისოდ დამკვიდრებული პრაქტიკაა და ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია დაკვირვება, ხომ არ იყენებს ხელისუფლება ამ სერვისს არა სახელმწიფო, არამედ პარტიული ან კერძო ინტერესებისათვის.

რბილ ცენზურასთან ბრძოლის ფარგლებში კვლევა ჩატარდა რამდენიმე სახელმწიფოში და მომზადდა ანგარიშები, რომლებიც დეტალურად აღწერს რბილი ცენზურის სხვადასხვა გამოვლინებებს სხვადასხვა სახელმწიფოში და ამ მიმართულებით არსებულ მავნე პრაქტიკას (იხ. დანართი 1).

<sup>2</sup> [http://www.wan-ifra.org/sites/default/files/field\\_article\\_file/Soft%20Censorship%20Macedonia%20Dec%202015.pdf](http://www.wan-ifra.org/sites/default/files/field_article_file/Soft%20Censorship%20Macedonia%20Dec%202015.pdf)